ბავშვები და საზოგადოება, ტომი 25, (2011) გვ. 2-14
DOI: 10.1111/j.1099-0860.2009.00256.x

თამაშის უფლების სიღრმისეული აღიარებისაკენ: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 31-ე მუხლის ანალიზი[1]

სიარა დეივი
ბავშვების ეროვნული ბიურო (NCB), ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

ლორა ლანდი
განათლების სკოლა, ქუინსის უნივერსიტეტი, ბელფასტი, ჩრ.ირლანდია

ბავშვებს აქვს თამაშის უფლება წარმოდგენილია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 31-ე მუხლში (UNCRC). თუმცა, ცოტა კვლევა თუ მოიძებნება, რომელიც ბავშვების სათამაშო გამოცდილებების უფლებაზე-დაფუძნებული პერსპექტივიდან შესწავლას მიეძღვნა. ბავშვების შეხედულებების გამოყენებით იმ მრავალ-განზომილებიანი ურთიერთმიმართების საილუსტრაციოდ, რომელიც 31-ე მუხლსა

---

[1] **ითარგმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის უფლებათა ცოდნის ცენტრში გაეროს ბავშვთა ფონდი, UNICEF "-ის საგრანტო პროექტი - ბავშვთა უფლებების ცენტრის ცოდნის ცენტრად დაფუძნება ინკლუზიური და ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებული ცოდნის დამოკიდებულებისა და პრაქტიკის დასანერგად ფარგლებში ,** თარგმანი მ. ბოლქვაძე,

და ბავშვების სხვა საკვანძო უფლებებს შორის, წინამდებარე სტატიაში ნაჩვენებია თუ როგორ უსვამს ხაზს უფლებებზე-დაფუძნებული თამაშის კლასიფიკაცია ისეთ ჰრობლემებს, როგორიცაა თავისუფლება, უსაფრთხოება, არჩევანი და ინკლუზია. სტატიაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ მართალია 31-ე მუხლი თამაშის მეთოდების ჩამოყალიბების ერთგვარი ბიძგი იყო დიდი ბრიტანეთის მასშტაბით, თუმცა ეს მეთოდები არ გასცდენია ცალსახა უფლებებზე-დაფუძნებულ ჰერსპექტივას. სტატია სრულდება ბავშვის უფლებათა კომიტეტისადმი მიმართვით, რომ ის უფრო ჩაუღრმავდეს საკითხს გაძლიერებული მონიტორინგისა და 31-ე მუხლის ამოქმედების გზით. *© 2009 The Author(s). Children & Society © 2009 National Children's Bureau and Blackwell Publishing Limited.*

საკვანძო სიტყვები: ბავშვები, თამაში, უფლებები.

შესავალი

ბავშვების თამაშისა და გასართობი ღონისძიებებისადმი წვდომა აღიარებულია საერთაშორისოდ, როგორც ადამიანის ფუნდამენტალური უფლება. ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის 31-ე მუხლის თანახმად:

"მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის დასვენების უფლებას, იმ უფლებას, რომ მონაწილეობდეს თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში, რომლებიც შეესაბამება მის ასაკს, და თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაში."

მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით აღიარებულია ყველა ადამიანის (უფროსის და ბავშვის) უფლება მონაწილეობა მიიღოს კულტურულ აქტივობაში და დაისვენოს მუშაობისგან, არ არსებობს ისეთი შეთანხმება, რომელიც მოიცავს თამაშის, გართობის ან

დასვენების უფლებას. ამ უნიკალური ელემენტების მიუხედავად, აკადემიურ დონეზე მაინც ნაკლებადაა გაანალიზებული 31-ე მუხლის არსი და მოქმედების სფერო. სირთულის ერთი ნაწილი შეიძლება წარმოიშვას იმ ფაქტიდან, რომ 31-ე მუხლი ძალიან ფართო მნიშვნელობის მქონე ტერმინებით დაიწერა, კერძოდ ის არ გვთავაზობს საკვანძო ტერმინების, მაგალითად "თამაშის" და "გასართობი ღონისძიების" განმარტებებს. ეს გასაკვირი არ არის იმ პირობებში, როცა ბავშვების თამაშის შესახებ ლიტერატურის თანახმად, გარკვეული სირთულეები არსებობს თამაშის დეფინი-ციასთან, მის ფუნქციასა და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით (Burghardt, 2005; Meire, 2007). თამაშთან დაკავშირებული ლიტერატურის კვლევის დეტალურ მიმოხილვაში, ლესტერი და რასელი (Lester and Russell, 2008) აღნიშნავენ, რომ თამაშის დეფინიციები შეიძლება ფართოდ დაχგუფდეს როგორც ინსტრუმენტალური (სადაც თამაში განიხილება როგორც სწავლისა და χანსაღი განვითარების მექანიზმი) და თვითმიზნობრივი და ჭეშმარიტი (სადაც თამაში განიხილება როგორც მნიშნელოვანი ისეთ თამაშისთვის). მაშინ, როცა თამაშის მკვლევრები ეჭვქვეშ აყენებენ "პირველს" და ხაზს უსვამენ "უკანასკნელს" (Hakarrainen, 1999; Hughes, 2001; Sutton-Smith, 2003), თამაშისადმი სწორედ ინსტრუმენტალური მიდგომა დომინირებდა უკანასკნელ დისკუსიებში (Powell, 2009). თამაშისადმი უფლებებზე-დაფუძნებული მიდგომა მოისაზრებს ინსტრუმენტალურ და თვითმიზ-ნობრივ მიდგომებს, აღიარებს რა, რომ თამაში თავად უფლებაა და ასევე იგი სხვა უფლებების მიღწევის მნიშვნელოვანი საშუალებაა (მაგ. χანმრთელობის, განვითარებისა და განათლების უფლებები). უფრო მეტიც, ის პოტენციურად ავსებს ამ დებატებს და ხაზს უსვამს, რომ თამაშის უფლება თავის მხრივ დამოკიდებულია მთელი რიგი სხვა უფლებების შესრულებაზე (როგორიცაა

ჯანმრთელობის, განვითარებისა და განათლების უფლებები) და შესაბამისად უნდა იქნას მიჩნეული როგორც სხვა ბავშვზე ორიენტირებული ინიციატივების მნიშვნელოვანი შედეგი.

სწორედ ამ მიზეზით, სტატია იწყება თამაშის უფლების მოქმედების სფეროსა და ბუნების კვლევით და განიხილავს 31-ე მუხლის მნიშვნელობას და მის კავშირს ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციაში მოხსენიებულ სხვა უფლებებთან. ამგვარად, ანალიზი მეტწილად ეყრდნობა ბავშვების მოსაზრებათა კვლევას თავიანთი უფლებების შესახებ, რომელიც განხორციელდა ჩრდილოეთ ირლანდიის ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხების წარმომადგენლობის სახელით (NICCY). სტატიის ზოგადი მიზანია თამაშის აქტივობის უფლებებზე-დაფუძნებული კლასიფიკაციის მკაფიო ფორმულირება და ამის შემდეგ, თამაშის მზარდი აღიარება, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, მისი სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებაში, ასევე სხვა დაკავშირებული სფეროებისა, სადაც თამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგალითად ჯანმრთელობა და განათლება. სტატია სრულდება დისკუსიით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება თამაშის სტატუსის მეტად აღიარება როგორც ბავშვის არსებითი უფლება და მოყვანილია არგუმენტები გამკაცრებული მონიტორინგისა და ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კომისიის 31-ე მუხლის ამოქმედების სასარგებლოდ.

თამაშის უფლების ბუნება და მოქმედების სფერო

თამაშის - უფლებად აღიარება - არის გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური ასპექტი. კონვენციის ტექსტზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა მნიშვნელოვანი მოლა-პარაკებები და დისკუსიები გამოიარეს ვიდრე თამაშის, დასვენების, კულტურული ცხოვრებისა და

ხელოვნების უფლება დამოუკიდებელ, განათლების უფლებისაგან განცალკევებულ პირობად განისაზღვრებოდა (Detrick, 1992). ამასთან, რთულია რაიმე სახის ინტერპრეტაციების გაკეთება 31-ე მუხლის საბოლოო ტექსტიდან. გარდა იმისა, რომ თამაში განსხვავდება „დასვენებისგან" და „კულტურული ცხოვრებისა და ხელოვნებისგან", ის დაკავშირებულია გასართობ ღონისძიებებთან... და ეს ორი უკანასკნელი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ასაკს". გარკვეულწილად, „თამაშზე" ძალიან ზოგადი მითითება არ განსხვავდება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის და სხვა საერთაშორისო კონვენციების დებულებებისგან - რომლებიც ასევე ფართო გაგების მქონე ტერმინებით არის შედგენილი, რაც ხშირად ერთგვარი გზაა იმისა, რომ სახელმწიფოები დათანხმდნენ და ხელი მოაწერონ მათ (An-Na'im, 1994). მიუხედავად ამისა, 31-ე მუხლისთვის მნიშვნელობის „მინიჭება" შესაძლებელია გაეროს კონვენციის სხვა საკვანძო მუხლებთან კავშირში მისი განხილვის შემდეგ. ადამიანის უფლებები ფართოდ აღიარებულია როგორც "უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთ-დამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული" (United Nations, 2003, para. 5). ამის ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ 31-ე მუხლის იზოლირებულად განხილვა შეუძლებელია, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი სხვა უფლებებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ბავშვის თამაშის უფლებას. განსაკუთ-რებული მნიშვნელობისაა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შემდეგი ოთხი ურთიერთ-გადამკვეთი პრინციპი: არა-დისკრიმინაციულობა (მუხლი 2); ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნ-ველყოფა როგორც უპირველესი პირობა (მუხლი 3); სიცოცხლის, არსებობისა და განვითარების უფლება (მუხლი 6) და ბავშვის უფლება ჩამოაყალიბოს თავისი შეხედულება და სათანადო ყურადღება დაეთმოს ასეთ შეხედულებას (მუხლი 12). გარდა ამისა, მუხლი 19, რომლითაც გარანტირებულია ზიანისგან დაცვა, მუხლი 15, რომლითაც გარანტირებულია ასოციაციის თავისუფლება, მუხლი 23,

რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს სოციალური ინტეგრაციის უფლებას ანიჭებს და მუხლი 29, რომლითაც განმარტებულია განათლების მიზნები - პირდაპირ შეესაბამება თამაშის უფლების სიღრმისეულ გაგებას.

ვან გილსმა (Van Gils, 2007) ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის ინტერპრეტაციის პროცესში ბავშვების ჩართულობის აუცილებლობა განმარტა როგორც თამაშის უფლებისათვის მნიშვნელობის მინიჭების საშუალება. მან გამოიკვლია თუ როგორ საუბრობდნენ ბავშვები თამაშის შესახებ 18 ხარისხობრივი კვლევის მეორადი ანალიზის მეშვეობით 8-13 წლამდე ასაკის ბავშვებთან. ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბავშვები თამაშის სულ სხვა ასპექტებზე აქცენტირებდნენ უფროსებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მწირია ბავშვების სათამაშო გამოცდილების კვლევა წმინდა უფლებების-პერსპექტივიდან. ამ მიმართულებით ერთ-ერთ გამონაკლის წარმოადგენს ჩრდილოეთ ირლანდიის ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხების წარმომადგენლობის სახელით განხორ-ციელებული კვლევა (Kilkelly and others, 2005). საკვლევ გუნდს უნდა ჩაეტარებინა ბავშვების უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის აუდიტი ჩრდილოეთ ირლანდიაში ბავშვების ცხოვრების საკვანძო ასპექტებთან მიმართებით - მათ შორის ბავშვების წვდომა თამაშისა და გასართობ ღონისძიებებთან (Kilkelly and others, 2005). ამ მიმოხილვის ფარგ-ლებში და კომისიის კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, ჩრდილოეთ ირლანდიის 27 სკოლიდან 5-დან 19 წლამდე 1064 ბავშვს, ასევე 107 ახალგაზრდას სხვადასხვა ახალგაზრდული და საზოგადოებრივი ჯგუფებიდან, სთხოვეს ესაუბრათ, დაეხატათ ან დაეწერათ იმ უსამართლობის შესახებ, რომელსაც, მათი შეხედულებით, ადგილი ჰქონდა მათ სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებაში ან უბნებში არსებულ სათამაშო და გასართობ დაწესებულებებში (Davey and others, 2009). ასევე ჩატარდა

ნახევრად-სტრუქტურირებული ფოკუს ჯგუფებისა და პირისპირ ინტერვიუები 350-ზე მეტ პოლიტიკის განმსაზღვრელ პირთან, პროფესიონალთან, პრაქტიკოსთან და მოხალისესთან, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, სააგენტოებს როგორც თავისუფალი ასევე ოფიციალური სახელმწიფო სექტორებიდან - რათა მომხდარიყო კვლევის კონტექსტუალიზება ამ მიმართულების/პოლიტიკის, კანონმდებლობისა და უფლებების ჩარჩოებში.

გაეროს კონვენციისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი ინსტრუმენ-ტების ნიშნულებად გამოყენებით, კვლევაში განსაკუთრებით ხაზგასმით წარმოვაჩინეთ ის სფეროები, სადაც ბავშვების უფლებები დაკნინებული ან უგულებელყოფილი იყო რათა შეგვეტყობინებინა კომისიისათვის სამსახურისთვის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ. კვლევით არამარტო შემოწმდა სახელმწიფოს შესაბამისობა ბავშვების უფლებების სტანდარტებთან, არამედ ასევე მისი განხორციელების პროცესმა უნიკალური ინფორმაცია მოგვაწოდა თავად უფლებების პოტენციალისა და შეზღუდვების შესახებ, მათ შორის თამაშის უფლებასთან დაკავშირებით (Kilkelly and Lundy, 2006). წინამდებარე სტატიის პირველადი მიზანი არ არის კვლევის პერიოდში ჩრდილოეთ ირლანდიაში ბავშვების თამაშის უფლების გამოცდილებებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება (იხ. Kilkelly and others, 2005). არც ის არის სტატიის მიზანი, რომ შეაფასოს თუ რამდენად აკმაყოფილებს დიდი ბრიტანეთი 31-ე მუხლით აღებულ ვალდებულებებს. სტატიის მიზანია ზემოხსენებულ კვლევაზე დაყრდნობით - რომელშიც წარმოდგენილია ბავშვების გამოცდილებები თამაშის უფლებასთან დაკავშირებით - ნათელი მოეფინოს ამ უფლების ბუნებას და მოქმედების სფეროს, ასევე მის ურთიერთკავშირს გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის სხვა დებულებებთან. მკვლევართა გუნდმა 620 ბავშვისგან მიიღო გამოხმაურება “თამაში და გასართობი

ღონისძიება” თემატიკაზე. ამ მონაცემების ბავშვების უფლებების სტანდარტებით დამუშავების შემდეგ, გამოიკვეთა ოთხი ძირითადი თემა, კერძოდ: ასაკის შესაბამისი დაწესებულებების წვდომის უფლება; შეურაცხყოფისაგან უსაფრთხოებისა და დაცულობის უფლება; არა-დისკრიმინაციულობის უფლება; (უფროსების მხრიდან) მათ შეხედულებებზე სათანადო ყურადღების დათმობის უფლება. შემდეგ ნაწილებში აღწერილია ბავშვების გამოცდილებები თამაშის უფლებასთან დაკავშირებით ზემოხსენებული ოთხი კონვენციაზე-დაფუძნებული კატეგორიის მიხედვით.

ასაკის შესაბამისი დაწესებულებების წვდომის უფლება

31-ე მუხლის თანახმად, თითოეულ ბავშვს აქვს უფლება მონაწილეობდეს თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში, მისი ასაკის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, თამაშსა და გასართობ ღონისძიებასთან დაკავშირებით მიღებული 620 გამოხმაურებიდან, 412 (66%) აკრიტიკებდა ბავშვების სათამაშო შესაძლებლობებს. მაგალითად, უმცროსი ბავშვები ამბობდნენ, რომ ისინი ხშირად ვერ მიდიოდნენ პარკებში სათამაშოდ იმის გამო, რომ არ ჰყავდათ თანმხლები უფროსი ან იმიტომ, რომ პარკი შორს იყო. გარდა ამისა, ქალაქის განაპირა ტერიტორიების იდეალიზებული ცნების საპირწონედ, რომლის თანახმადაც ეს ტერიტორიები სავსე უნდა იყოს ღია სივრცეებით, სადაც ბავშვებს თავისუფლად შეუძლია თამაში და ბუნების შეცნობა, სინამდვილეში სოფელში მცხოვრები ბევრი ბავშვისთვის სხვის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და შესაბამისად ხელმიუწვდომელი იყო. ბავშვებმა და ახალგაზრდებმა, რომლებიც ქალაქისა და სოფლის ღარიბ უბნებში ცხოვრობდნენ, ასევე გამოხატეს წუხილი ტრანსპორტისა და სათამაშო დაწესებულებების საფასურთან დაკავშირებით და ამბობდნენ, რომ “ფულს არ უნდა იხდიდნენ”.

სურათი 1: 8 წლის გოგონა (წარწერა ნახატზე: ირგვლივ პარკები არ არის)

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით უკანასკნელი ინიციატივების თანახმად (რომლებიც მომდინარეობდა “Play England’s” (“ფლეი ინგლენდ”) სათამაშო გარემოს ხარისხის ინდიკატორებიდან) კარგმა სათამაშო გარემომ უნდა გაიაროს ე.წ. “თავისუფლების სამი ელემენტის” ტესტი - თავისუფალი გადასახადისგან, თავისუფალი ბავშვებისთვის მისასვლელ-მოსასვლელად და იმ გარემოში ქცევის თავისუფლება (Play England, 2008), ჩრდილოეთ ირლანდიაში სათამაშო საშუალებებამდე მისაღწევად ტრანსპორტირების ღირებულებას თან ერთვოდა ბავშვების მშობლებზე/ნათესავებზე დამოკიდებულება, რომლებსაც ბავშვები მათი სახლებიდან მოშორებით მდებარე ავტობუსის ან მატარებლის სადგურებში მიჰყავდათ; ეს ყველაფერი ბავშვების სათამაშო ზონიდან დისტანცირების ძირითადი გარემოება იყო (სურათი 1).

უსაფრთხოების უფლება

გაეროს კონვენციის მე-19 მუხლი ყველა ბავშვს ანიჭებს ზიანისაგან დაცულობის უფლებას. თუმცა ზემოხსენებულ კვლევაში, გამოკითხულთა 32% წუხილს გამოთქვამს საფრთხის შემცველი სათამაშო გარემოსთან დაკავშირებით. ზოგადად დაწყებითი სკოლის ბავშვებმა და განსაკუთრებით გოგონებმა აღნიშნეს, რომ მათ ადგილობრივ პარკებში სათამაშო მოწყობილობები ხშირად დაზიანებულია და ბალახებში ჩარჩენილი ნემსებისა და დაფშვნილი შუშების გამო, პარკი სათამაშოდ საშიში გარემოა. მათ ასევე “ცუდი ბიჭები” და უფროსი თინეიჯერები ემუქრებოდნენ, რომლებიც პარკში საღამოობით დადიოდნენ (სურათი 2).

ქუჩაში დაპარკინგებულმა მანქანებმა და მეზობლებმა, რომლებსაც ბავშვების ბურთით თამაში აღიზიანებდათ ასევე აიძულა ბევრი ბავშვი და ახალგაზრდები ახალი სათამაშო ადგილები მოეძებნათ. მაგრამ, ამან დამატებითი შეშფოთება გამოიწვია ბავშვებისა და ახალგაზრდების

უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომლებიც სახლიდან მოშორებით თამაშობდნენ და რომლებიც შეიძლება დაშავებულიყვნენ ქუჩის გადაკვეთისას ან მოძრაობით დატვირთული გზების სიახლოვეს.

ჩემი სახლის გარეთ მინდორია. მე და სხვა ბიჭები, რომლებიც ახლოს ცხოვრობენ, იქ ყოველთვის ფეხბურთს ვთამაშობთ. მაგრამ, იქ ერთი კაცია, რომელიც გვეუბნება რომ ბალახზე არ ვითამაშოთ ან ქუჩის მიმდებარედ ვითამაშოთ, სადაც მოძრაობა გადატვირთულია და ბურთი ხშირად ქუჩაზე ვარდება (11 წლის ბიჭი).

სურათი 2: 7 წლის ბიჭი (წარწერები ნახატზე: ნაგავი, პარკში ლუდის დალევა, ბულინგი)

კონვენციის მე-15 მუხლით განსაზღვრულია, რომ ყველა ბავშვს აქვს ასოციაციის თავისუფლება - უფლება რომელიც გამიზნულია ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს სხვადასხვა ბავშვების სოციალური ინტეგრაცია მათთვის თამაშის, სოციალიზაციისა და ერთმანეთისაგან სწავლის შესაძლებლობის მიცემით. ამ უფლებაზე წვდომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტ კონფლიქტურ საზოგადოებებში, როგორიცაა ჩრდილოეთ ირლანდია, სწორედ იქ, სადაც კვლევა აჩვენებს, რომ სამი წლის ასაკში ბავშვებს სექტანტური ქცევების გამოვლენა შეუძლიათ (Connolly and Healy, 2004). და მაინც, ანტისოციალური ქცევების აღსაკვეთად მიმართული კანონმდებლობა, საზოგადოებრივ ადგილებში თავშეყრის საწინააღმდეგო ბრძანებები და ულტრაბგერითი დანადგარების შემოღება დაკავშირებული იყო სათამაშო მოედნებისა და ღია მწვანე ტერიტორიების დახურვასთან; ამ მიწების სხვა დანიშნულებით გამოყენება უფრო მომგებიანიც იყო. ამან თანდათან შეზღუდა ბავშვების გადაადგილების თავისუფლების უფლება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოლო წლებში ბავშვების გამოჩენა საზოგადოებრივ ადგილებში კატასტროფულად შემცირდა. ჩრდილოეთ ირლანდიაში ბავშვებს ასევე იმ ფაქტთან შეგუება უწევთ, რომ სოციალური სივრცე რელიგიური თვალსაზრისითაც დაქსაქსულია (Leonard, 2006) და ეს სერიოზულად განსაზღვრავს თუ ვის ექნება სათამაშო ზონებზე წვდომა. ისინი, ვინც სექტანტიზმის ამ ფორმის შეცვლას შეეცადა სათამაშო მოედნების მისაწვდომობისათვის, საკუთარი თავი დიდ საშიშროებაში ჩაიგდეს.

არა-დისკრიმინაციულობის უფლება

გაეროს კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, ბავშვებს და ახალგაზრდებს აქვთ უფლება დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ თავიანთი უფლებებით გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის, მათ შორის 31-ე მუხლის შესაბამისად. თუმცა ჩრდილოეთ ირლანდიის კვლევის თანახმად, ბავშვების გარკვეული ჯგუფები შეზღუდულები იყვნენ თამაშის უფლების თანასწორად გამოყენებაში. მომთაბარე ბავშვებს, მაგალითად, ნაკლები სათამაშო პირობები ჰქონდათ თავიანთ

მომთაბარე ბანაკების ტერიტორიაზე, რადგან სივრცის უმეტესი ნაწილი დაკავებული იყო გაშლილი კარვებით, მანქანებით ან თავშესაფრებით, ან კიდევ პოტენციურად საშიში სამშენებლო მასალებით. მომთაბარე ბავშვებს ნაკლებად უშვებდნენ ბანაკის მიღმა სათამაშო მოედნებზე მათზე თავდასხმის ან რასისტული ბულინგის საშიშროების გამო. ბავშვები უპირატესობას ანიჭებდნენ სახლის სიახლოვეს თამაშს, მომთაბარეთა ბანაკებში მუდმივი განათების უქონლობის გამო, საღამოობით გარემო უფრო საშიში იყო ვიდრე სათამაშო, თავად ბანაკების განლაგება კი ქალაქების განაპირა უბნებში გადატვირთული გზების მიმდებარედ, ბავშვების წუხილს იწვევდა თავიანთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გარეთ თამაშის დროს.

გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 23-ე მუხლი აღიარებს გონებრივი და ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვების უფლებას, სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას ეწეოდეს პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მათი ღირსების დაცვას, ეხმარება საკუთარი თავის რწმენის ჩანერგვაში და უადვილებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში. მიუხედავად 1995 წლის კანონისა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დისკრიმინაციის შესახებ და აღებული ვალდებულებისა ინკლუზიური სათამაშო მოედნების მოწყობასთან დაკავშირებით ოთხი იურისდიქციული სათამაშო სტრატეგიის ფარგლებში, გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის 2008 წლის შემაჯამებელ დასკვნა - რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობისთვის მომზადდა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები გამოყოფილი იყო როგორც ჯგუფი, რომელიც ყველაზე ნაკლებად სარგებლობდა თამაშის უფლებით. კომიტეტის წუხილი თითქოს ექოს სახით განმეორდა ჩრდილოეთ ირლანდიის ზემოხსენებულ კვლევაში. რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ამბობდნენ, რომ თავს იზოლირებულად გრძნობდნენ სხვა ბავშვებისგან, რადგანაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სათამაშო მოედნები არ იყო გათვლილი ეტლით მოსიარულეთათვის.

მხოლოდ იმიტომ, რომ ეტლში ზიხარ, არ ნიშნავს იმას, რომ რაღაცეები არ უნდა აკეთო (16 წლის ბიჭი, "სპეციალური" სკოლა).

იზოლაციის შეგრძნება კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც “სპეციალურმა” სკოლებმა დაიწყეს მოსწავლეთა მიზიდვა უფრო შორეული უბნებიდან რაც იმას ნიშავდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები სულ უფრო იშვიათად ხვდებოდნენ თავიანთი სკოლის მეგობრებს. აღნიშნული წარმოდგენილია მე-3 სურათზე, ნახატის შინაარსია - “ეტლით მოსიარულეთათვის დაწესებულება ხელმიუწვდომელია”.



სურათი 3: 16 წლის გოგონა - “სპეციალური” სკოლა

შეხედულებების გამოხატვის უფლება და (უფროსების მხრიდან) მათი სათანადო ყურადღება

მე-12 მუხლის თანახმად, ყველა ბავშვს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი შეხედულება ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე ან პროცედურაზე, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე, ამასთან ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად.

სურათი 4: 11 წლის ბიჭუნა (წარწერა სურთაზე: რატომ დახურეს “სპინერი”; ეს უსამართლობაა)

თამაშის კონტექსტში ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვების შეხედულებები გათვალისწინებული უნდა იქნეს ქალაქის ან სათამაშო ზონების დაგეგმარების პროცესში. თავიანთ გამოხმაურებებში, ბავშვებმა აღნიშნეს, რომ ისინი იმედგაცრუებულები დარჩნენ როდესაც პარკები გააუქმეს მათთან კონსულტაციის გარეშე, ან როდესაც გასართობი დანადგარების რაოდენობა შეამცირეს დაზიანებისა და დაშავების თავიდან აცილების მიზნით, რამაც პარკები სტერილურ და მოსაწყენ ადგილებად გადააქცია. უფრო მეტიც, ის ადამიანები, ვინც გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყო ჩართული, მეტად სკეპტიკურად განიხილავდნენ იმ ყურადღებას, რომელიც ბავშვების მოსაზრებებს ეთმობოდა (სურათი 4).

> გუშინ ყველას ვუთხარი, რომ დღეს აქ მოვდიოდი; დაახლოებით ოცნი ვიყავით, მათ მითხრეს "პარკის შესახებ უთხარი", მე დავთანხმდი. უაზრობაა! შვიდი წლის უკან დაგვპირდნენ, რომ პარკი გვექნებოდა და იმედი გაგვიცრუეს. ვიცი რომ ამჯერადაც იგივე იქნება. ისევ გაგვიცრუებენ იმედებს. ჩვენი სახელმწიფო ნ***ვია, ვერაფერს იზამ, ისღა დაგვრჩენია სახლში ვიჯდეთ...ძალიან მინდა რაიმე კარგი (13 წლის ბიჭი).

მართალია ხშირად ამტკიცებენ, რომ დიდ ბრიტანეთში ბავშვები სრულყოფილად ვერ სარგებლობენ მე-12 მუხლის პირობებით, ასევე ბევრი კრიტიკა ახლავს უფროსების მხრიდან ბავშვების პასუხების მოსმენასთან და რეაგირებასთან დაკავშირებით, მაგრამ ბავშვები ჩართულები არიან ბავშვებისა და ახალგაზრდების გეგმების, ასევე თამაშის სტრატეგიების განვითარების პროცესში, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე მთელი დიდი ბრიტანეთის მასშტაბით (Department for Children, Schools & Families, 2008). ინგლისსში, შოტლანდიაში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მცხოვრები ბავშვების მოსაზრებები წერილობითი ან/და ზეპირი პრეზენტაციების სახით ასევე წარმოდგენილი იყო ბავშვების უფლებების კომიტეტის წინა-სასესიო მოსმენაზე, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის ფორმალურ განხილვამდე - 2008 წლის სექტემბერში გაიმართა. მართალია, ამ სხვადასხვა

ფორუმებით უზრუნველყოფილი მონაწილეობის ეფექტურობა, ბავშვზე-ორიენტირებულობა და ხარისხი სადავოა, მაგრამ ისინი ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ბავშვები ხშირად გამჭრიახად აცნობიერებენ იმ ბარიერებს, რომლებიც მათი თამაშის უფლებას ზღუდავენ და სინამდვილეში ისინი უფროსებისაგან ხშირად განსხვავებული ღირებულებით ღებულობენ ამ ბარიერებს. მაგალითად, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ბავშვები დამტვრეულ ბოთლებს, ახალგაზრდებს, რომლებიც იმუქრებოდნენ, გაღიზიანებულ მეზობლებს და გადატვირთულ გზებს იმ ფაქტორებად განიხილავდნენ, რომლებიც მათი უსაფრთხო თამაშის უფლებას არღვევდა. თუმცა, ამ პრობლემების მოგვარების ნაცვლად, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია იმისკენ რომ გადაწყვიტოს უსაფრთხო თამაშის გარემოს პრობლემა სათამაშო დანადგარებისა და გარემოს დაცვის (გაუვნებელყოფის) გზით, ამასთან ზოგჯერ, მიღებული უსაფრთხოების ზომები აღქმულ რისკს არ შეესაბამება (Gill, 2007). იმას, რომ ბავშვებს და უფროსებს განსხვავებული შეხედულება აქვთ თამაშთან დაკავშირებით ისიც ადასტურებს, რომ ბავშვები ხშირად აწყობენ საკუთარ სიმბოლურ სათამაშო სივრცეებს უფროსების მიერ მოწყობილ ოფიციალურ სათამაშო ზონებში (Rasmussen, 2004). შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თამაშის გარემოს შესახებ უფროსებისა და ბავშვის წარმოდგენებს შორის არსებობს განსხვავებები (Elsley, 2004).

ბავშვების სათამაშო გამოცდილების საკვლევი ლიტერატურა სულ უფრო მრავლდება. თუმცა, ჩრდილოეთ ირლანდიის ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხების წარმომადგენლობის სახელით განხორციელებული კვლევა იმით განსხვავდება, რომ ის შესაძლებლობას იძლევა ეს გამოცდილებები შევისწავლოთ ბავშვების უფლებების კუთხიდან. იმ პირობებში, რომ ბავშვების გამოხმაურებები დიდი ბრიტანეთისა და ევროპის სხვა მხარეებშიც ჰპოვებდა, კვლევით ასევე გამოვლინდა ბავშვების ცხოვრების ისეთი ასპექტები, განსაკუთრებით კონფლიქტისა და სექტარიანიზმის გავლენასთან დაკავშირებით მათ თავისუფალ დროზე, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიისათვის იყო დამახასია-

თებელი. მსგავსი კვლევები რომ სხვა განვითარებად ქვეყნებში ჩატარებულიყო ან ისეთ სახელმწიფოებში, სადაც სხვა სახის კონფლიქტებს აქვს ადგილი, ცხადია, ბავშვების შეშფოთების საფუძველიც განსხვავდებული იქნებოდა. მაგალითად, სერბეთის მთავრობის მიერ 2008 წელს გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტში წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ სერბი ბავშვების თამაშზე წვდომის ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი ფინანსური რესურსების უკმარისობა იყო (Committee on the Rights of the Child, 2008a, para. 426). და მაინც, ბავშვების თამაშის უფლების სხვადასხვა გამოცილების დაშვებით სხვადასხვა გარემოებაში, მოისაზრება, რომ ბევრი ძირითადი თემა, რომელიც ზემოხსენებული ჩრ. ირლანდიის კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, ასევე მნიშვნელოვანი იქნება ბევრ სხვა კონტექსტში. მსოფლიოს მასტაბით, ბავშვებს თავისუფლად და უსაფრთხოდ თამაშის სურვილი ექნებათ ისეთივე პირობებში, სადაც მათ არჩევანის თავისუფლება აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განკარგონ თავიანთი დრო. ჩრდილოეთ ირლანდიის კვლევის მონაცემებით გამოვლინდა, რომ ბავშვების მიერ თამაშის უფლებით სარგებლობა დამოკიდებულია არა მხოლოდ 31-ე მუხლის შესრულებაზე, არამედ მთელი რიგი სხვა უფლებების, კერძოდ მათი უსაფრთხოების, თანასწორობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებების წარმატებულ რეალიზებაზე.

თამაშის უფლება და მისი ურთიერთკავშირი ბავშვების სხვა უფლებებთან

დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტში კონვენციის განხორციელება-აღსრულების ფორმალური განხილვისათვის მზადების პროცესში წარდგენილ მასალებში (2008 წლის სექტემბერი) ნაჩვენები იყო, რომ ბავშვების წვდომა სათამაშო მოედნებზე/ობიექტებზე მზარდი ყურადღების საგანი იყო ბოლო წლებში, რაც ინგლისში, შოტლანდიაში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში გადაიზარდა თითოეული მათგანის უნიკალურ თამაშის სტრატეგიაში/განხორციელების გეგმაში Committee on the Rights of the Child, 2008b, para. 563–566). მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თითოეული ამ იურისდიქციათაგანი პროცესის აშკარად განსხვავებულ

ეტაპზე იმყოფებიან, მათ დოკუმენტებში საკვანძო სიტყვების “უფლება” და “უფლებები” ძიების შედეგად გამოვლინდა, რომ არც ერთ მათგანში არ არის ფორმულირებული თამაშის არც სარგებელი, არც ბარიერები უფლებრივ ჩარჩოებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის ხსენების გარდა, რომ ბავშვებს აქვთ თამაშის უფლება, პროგრამულ დოკუმენტებში არ ხდება ბავშვების სხვა უფლებების მოხსენიება, მათ შორის არც ბავშვების მიერ იდენტიფიცირებულ იმ უფლებათაგან, როგორებიცაა მათი უსაფრთხოების, ინკლუზიისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება. მსგავსი აზრი გამოხატა პაუელმაც (Powell, 2009) თავის მიმოხილვაში ეროვნული პოლიტიკის გავლენაზე ინგლისში ბავშვების თამაშის შესაძლებლობებზე, რომლის თანახმადაც, შეუსაბამოებები არამხოლოდ თამაშის კონსტრუირებაში იყო ეროვნულ პროგრამულ დოკუმენტაციაში, არამედ მთავრობა ტენდენციურად ხაზს უსვამდა თამაშის ინსტრუმენტალურ ღირებულებას (ანუ მის მნიშვნელობას ბავშვების სოციალური განვითარების, სიჯანსაღისა და საზოგადოების მთლიანობის ხელშეწყობისათვის), ვიდრე მის ნიშანდობლივ ღირებულებას (ანუ თამაში როგორც ბავშვების სიამოვნებისა და ცხოვრების ხარისხის გამაუმჯობესებელი საშუალება). ავტორი ასევე აღნიშნავდა, რომ თამაშის უფლება (სქოლიოს სახით) 28 წამყვანი დოკუმენტიდან მხოლოდ ერთში აღმოჩნდა, რომელთაგან თითოეული დაკავშირებული იყო 31-ე მუხლის განხორციელებასთან. ამის მსგავსად, “ჩრდილოეთ ირლანდიის თამაშის პოლიტიკის სამუშაო ვარიანტმა” (2007) ყველაზე დიდი კრიტიკა იმის გამო დაიმსახურა, რომ დოკუმენტის მიზანი - ბავშვების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სიმსუქნის პრობლემის დაძლევა, ბავშვების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა და საზოგადოების ერთობის შენება, გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციით განსაზღვრულ ბევრ უფლებას მოისაზრებდა. და მაინც, ამ დოკუმენტში არა თუ არ მოიხსენიება 31-ე მუხლი, თავად „უფლებების” კონცეპტი მხოლოდ ბოლო გვერდებზე ჩნდება, რაც ყველა სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს - განახორციელონ თანასწორობაზე გავლენის შეფასება თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩრ. ირლანდიის 1998 წლის აქტის 75-ე ნაწილის შესაბამისად.

მთავრობის პროგრამულ დოკუმენტაციაში თამაში იშვიათადაა აღიარებული უფლებად, ამასთან მისი ურთიერთკავშირი ბავშვების სხვა ძირითად უფლებებთან ხშირად ერთგანზომილებიანად არის წარმოდგენილი. მაგალითად, ბავშვების თამაში მთავრობის მიერ ფართოდაა აღიარებული როგორც განვითარების, განათლებისა და ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ელემენტი, თუმცა ეს კავშირი იშვიათადაა ფორმულირებული პირიქით - რომ განათლების ერთ-ერთი მიზანია ბავშვებს თამაშის საშუალება მივცეთ; რომ ბავშვები ჯანმრთელები უნდა იყვნენ იმისათვის, რომ ითამაშონ. ამის მსგავსად, ხშირად აღიარებენ, რომ ბავშვებს თამაშის საშუალება უნდა ჰქონდეთ იმისათვის, რომ განავითარონ თავიანთი სოციალური უნარები, მათ შორის საკუთარი შეხედულებების გამოხატვისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები. თუმცა, ნაკლები ყურადღება ეთმობა იმ ფაქტს, რომ საჭიროა ბავშვებს შეეკითხონ მათი მოსაზრება და ჩართონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმისათვის, რომ მათ სრულყოფილად ისარგებლონ თამაშის უფლებით. მთავრობის მიერ თამაშის კონცეპტუა-ლიზაცია როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, ეწინააღმდეგება ჩრ.ირლანდიის კვლევაში მონაწილე ბავშვებისა და ახალგაზრდების შეხედულებებს, რომლებიც თამაშს თავისთავად მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ და იმას უფრო უსვამდნენ ხაზს თუ როგორ მიეღწიათ თამაშისთვის, ვიდრე იმას თუ რას მოუტანდა თამაში. თამაშის გაგებისადმი უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, უფლებების ურთიერთდამოკიდებულების პირდაპირი ხაზგასმით, იმის აღიარებას საჭიროებს, რომ თამაში არა მხოლოდ გადამწყვეტია სხვა ფუნდამენტალური უფლებების რეალიზაციისათვის, არამედ ეს უფლებები თავის მხრივ თამაშის უფლების ფუნდამენტურ წინაპირობას წარმოადგენენ.

თამაშის უფლების კომპლექსურობა და კერძოდ კი, მისი კავშირი სხვა უფლებებთან ართულებს 31-ე მუხლის ვიზუალურ კონცეპტუალიზაციას. თუმცა, გაეროს ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ბორბლის ცენტრი და მასში ჩამოყალიბებული უფლებები (მაგ. განვითარების, ჯანმრთელობის, ასოციაციის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და თამაშის) კი ამ ცენტრიდან გამავალი შემაერთებელი ღეროები. რომელიმე ღერო რომ გატყდეს, ბორბალი

დეფორმირებული იქნება. შესაბამისად, თამაშის უფლება დამოკიდებულია განათლების უფლებაზე და განათლების უფლება დამოკიდებულია თამაშის უფლებაზე. ამ ღეროების „ჰერმეტიზაცია" (ბოლბლის გარე რკალად) წარმოადგენს გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის სამ ძირითად პრინციპს: საუკეთესო ინტერესები, არა-დისკრიმინაციულობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება.

თამაშის უფლების აღიარება

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვინაიდან გარკვეული პროგრესი არსებობს ბავშვების სათამაშო საშუალებებზე წვდომის უზრუნველყოფის მიმართულებით, ნაკლებად მნიშვნელოვანია თუ როგორ განიხილება თამაში - სოციალურ სიკეთედ თუ უფლებად. თუმცა ეს მიდგომა ვერ აღიარებს „უფლებების გამოგონების მორალურ მხარეს" (Freeman, 1992:173) და ბევრ მიზეზს იმისა, თუ რატომაა მნიშვნელოვანი „უფლებების სერიოზულად აღქმა", მათ შორის იმ ფაქტისა, რომ უფლება დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და მოქმედების ფართო არეალს გვთავაზობს (Freeman, 2007:5). ადამიანის უფლებათა შესახებ კანონის საკვანძო როლი იმაში მდგომარეობს, რომ ის ავალდებულებს სახელმწიფოს პასუხი აგოს თავის ქმედებებზე ან უმოქმედობაზე საერთაშორისო ვალდებულებებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, თამაშის კონტექსტში, მისი სტატუსი როგორც უფლება, მოიცავს ლეგი-ტიმურობას და სერიოზულობას, რაც ხშირად ამოვარდნილია უფროსების დისკუსიებიდან თამაშის შესახებ. ის აძლიერებს იმ ფაქტს, რომ ბავშვებისთვის თამაშისა და თავისუფალი დროის საჭიროება უფლებაა და ნებაყოფლობითი ფუფუნება, რომლითაც „ტკბობა" მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მოსახერხებელია; ის ხაზს უსვამს, რომ თამაში თავის-თავად მნიშვნელოვანია და ამასთან, მას ინსტრუმენტალური ღირებულება გააჩნია; ის ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბავშვების თამაშის უნარი იდენტიფიცირებული უნდა იყოს ბავშვზე-ფოკუსირებული სხვა ინიციატივების არსებითი მიზანი; გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის კონტექსტში განხილვის შემთხვევაში,

ვღებულობთ თამაშის განმარტებას, რომელიც აქცენტირებს თავისუფლებაზე, უსაფრთხოებაზე, არჩევანზე და თანასწორობაზე, როგორც თამაშის უფლების გარანტიის ძირითად პირობებზე. აღნიშნული უფლებებზე დაფუძნებული პერსპექტივის ადაპტირება მნიშვნელოვანია იმ განვითარებადი სისტემებისა და სტრუქტურებისათვის, რომლებიც ბავშვების თამაშის შესაძლებლობებს უწყობს ხელს, ამასთან თამაშის უფლების აღიარების გარანტად გამოდის სხვა ისეთ კონტექსტებში როგორიცაა განათლებისა და ჯანმრთელობის პოლიტიკა და ინტერვენციები.

გაეროს კომიტეტის მიერ თამაშის კონცეპტუალიზაცია

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ განიხილება თამაშის უფლება უფლებად მთავრობის პროგრამულ დოკუმენტაციაში, შესაძლოა ის ფაქტიც იყოს, რომ თამაშის უფლებას ნაკლები ყურადღება დაეთმო ბავშვების უფლებების საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია მუშაობს უპირველესად ბავშვის უფლებების კომიტეტის (“კომიტეტი”) მონიტორინგისა და პერიოდული ანგარიშგების ფორმით. კომიტეტს შეიძლება ბრალი წარვუდგინოთ იმის გამო, რომ მისი არსებობის უმეტესი პერიოდის განმავლობაში იგი გულგრილად ეკიდებოდა თამაშის უფლებას.

მაგალითად, 1991 წლის წევრ სახელმწიფოთა პირველადი საანგარიშო სახელმძღვანელო საერთოდ არ ახსენებს თამაშის უფლებას და აჯგუფებს „გასართობ და კულტურულ” ღონისძიებებს განათლების უფლებასთან (Committee on the Rights of the Child, 1991). შემდგომი საანგარიშო სახელმძღვანელო მითითებებში მართალია თამაში მოიხსენიება, თუმცა ისევე განათლების უფლებასთან დაჯგუფებული სახით (Committee on the Rights of the Child, 1996). შედეგად, წევრ სახელმწიფოთა ანგარიშებში თამაში არათუ იშვიათად განიხილება დეტალურად, არამედ კიდეც ხასიათდება როგორც განათლების ნაწილი; იგი იშვიათად განიხილება როგორც უფლება პოლემიკური კავშირებით კონვენციის სხვა უფლებებთან. კომიტეტმა არ აღიარა თავისი გულგრილი

დამოკიდებულება თამაშის უფლების მიმართ, თუმცა, მისი თვალსაჩინო ნაკლოვანება კომიტეტის მონიტორინგისა და განხორციელების მექანიზმებში უდაოდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქმება თამაში წევრი სახელმწიფოების მიერ.

კომიტეტი წევრ სახელმწიფოთა მიერ გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის განხორციელების პროგრესთან დაკავშირებით თავის შემაჯამებელ დასკვნებში თამაშის პრობლემებსაც ხშირად უყურადღებოდ ტოვებდა. 2000-დან 2004 წლამდე 15 ქვეყნისთვის მომზადებული შემაჯამებელი დასკვნების კვლევაში (98 სახელმწიფოს მონაცემებზე დაყრდნობით) გამოვლინდა, რომ მხოლოდ 15% ახსენებდა 31-ე მუხლს (David, 1006). 2008 წლის მაისში ბულგარეთის, ერითრეას, საქართველოს, სერბეთისა და სიერა ლეონეს გამოქვეყნებულ შემაჯამებელ დასკვნებში, ასევე 2008 წლის სექტემბერში ბუტანის, დიდი ბრიტანეთისა და ჯიბუტშის დასკვნებში, ბავშვის თამაშისა და დასვენების უფლებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები მხოლოდ ორი - სერბეთის (Committee on the Rights of the Child, 2008a, para. 426) და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისთვის (Committee on the Rights of the Child, 2008b, para. 68 and 69) გაიცა. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობას უთხრეს გაეძლიერებინათ თავიანთი მცდელობები 31-ე მუხლის ცხოვრებაში გატარებისათვის, კერძოდ, კი შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების „ადეკვატური და ხელმისაწვდომი... თამაშისა და დასასვენებელი აქტივობების" უფლებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით (Committee on the Rights of the Child, 2008b, para. 68 and 69). იმის გათვალისწინებით, რომ კომიტეტს თამაშის უფლებასთან დაკავშირებით არ გაუკეთებია არანაირი კომენტარი ბრიტანეთის მთავრობის მიმართ გაცემულ შემაჯამებელ დასკვნებში 1995 და 2002 წლებში, ზემოხსენებული კომენტარი მისასალმებელია. თუმცა, ეს ერთ-ერთი იმ 124 რეკომენდაციიდან, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობას გაეწია კომიტეტის მხრიდან. აქედან გამომდინარე სადაოა ის, რომ ბავშვის თამაშის უფლებას ჯერ კიდევ დაბალი პრიორიტეტულობა აქვს მინიჭებული კომიტეტის მხრიდან,

თუკი შევადარებთ მის ფართო სპექტრის მქონე რეკომენდაციებს კონვენციაში ჩამოყალიბებულ სხვა უფლებებთან დაკავშირებით.

კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც კომიტეტს მნიშვნელოვნად შეეძლო თამაშის უფლებისადმი ყურადღების მიპყრობა, არის მისი ზოგადი კომენტარები. საინტერესოა, რომ მის პირველ ზოგად კომენტარში განათლების მიზნებთან დაკავშირებით, ჩამოთვლილია ის უფლებები, რომლებიც მნიშვნელოვანია 29-ე მუხლით განსაზღვრული განათლების უფლების (მათ შორის ჯანმრთელობის უფლება და სხვ.) შესასრულებლად, თუმცა აქ საერთოდ არ არის ნახსენები 31-ე მუხლი (Committee on the Rights of the Child, 2001). თავის უფრო გვიანდელ ზოგად კომენტარი 7-ში „ბავშვის უფლებების განხორციელების შესახებ ადრეულ ასაკში", კომიტეტი აღნიშნავს, რომ „წევრ სახელმწიფოთა და სხვების მიერ არასაკმარისი ყურადღება დაეთმო 31-ე მუხლის პირობების განხორციელებას" და მოუწოდებს მხარეებს „მეტი ყურადღება დაუთმონ და ადეკვატური რესურსები გამოყონ (ადამიანური და ფინანსური) დასვენების, გართობისა და თამაშის უფლების ადეკვატურად განხორციელებისათვის" (Committee on the Rights of the Child, 2006, para. 34). შეგნებულად თუ შეუგნებლად, ეს გზავნილი თითქოს იმას გულისხმობს, რომ თამაში რაღაცნაირად უფრო რელევანტურია ადრეული ასაკის ბავშვების განვითარებისთვის და არა უფროსი ბავშვებისთვის. ეს მოსაზრება არ დასტურდება არც ჩრდილოეთ ირლანდიის ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხების წარმომადგენლობის კვლევით, სადაც ყველა ასაკის ბავშვებმა გააკრიტიკეს თამაშის საშუალებათა დეფიციტი, და არც თამაშის სფეროს ექსპერტებით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ უფროსებსაც კი სჭირდებათ თამაში (Baptiste, 1995:33).

და ბოლოს, კომიტეტს თავის შემაჯამებელ დასკვნებში შეეძლო განეხილა 31-ე მუხლით მოცული საკითხები როგორც ცალკე კატეგორია. დაკვირვების თანახმად, გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციია სულ სხვაგვარი იქნებოდა ბავშვების მიერ რომ შედგენილიყო (Freeman, 1992), კომიტეტი რომ ხელახლა შემდგარიყო ბავშვების წევრობით, ანგარიშების შინაარსი და პრიორიტეტებიც უდაოდ განსხვავებული იქნებოდა. სავსებით შესაძლებელია, თამაში, დასვენება და გართობა უფრო

პრიორიტეტული და თვალსაჩინო იქნებოდა. ეს წარმოდგენილი იყო ჩრდილოეთ ირლანდიის კვლევის ბოლო პერიოდის განახლებაში, სადაც სათამაშო და გასართობი საშუალებების საჭიროების ზრდა ის უმნიშვნელოვანესი პრობლემა/საკითხი იყო, რომლის მოგვარებასაც ითხოვდნენ ბავშვებიც, მშობლებიც და მზრუნველებიც კომისიისაგან (Northern Ireland Commissioner for Children and Young People, 2009). 31-ე მუხლის განხორციელების გაძლიერებული მონიტორინგის საჭიროების აღიარება შეიძლება დაეხმაროს თამაშის უფლების ამჟამინდელი პოზიციიდან აღდგენას, როგორც გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე უგულებელყოფილი პირობის (Hodgkin and Newell, 2002). კომისიის მიერ თამაშის უფლების ფორმულირება და ხაზგასმა ხელს შეუწყობდა იმის გარკვევას თუ რა მოისაზრება თამაშში, მის მნიშვნელობაში და დამოკიდებულებაში სხვა უფლებებთან, ასევე იმ მექანიზმებისა, რომლებიც საჭიროა სამთავრობო პროგრამებში ბავშვის თამაშის უფლებაზე ყურადღების გამახვილების უზრუნველსაყოფად.

სპონსორი
ჩრდილოეთ ირლანდიის ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხების წარმომადგენლობა (NICCY).

ბიბლიოგრაფია

An-Na’im A. 1994. Cultural transformation and normative consensus on the best interests of the child. International Journal of Law and the Family 52: 63.
Baptiste N. 1995. Adults need to play, too. Early Childhood Education Journal 23: 1.
Burghardt G. 2005. The Genesis of Animal Play: Testing the Limits. MIT Press: Cambridge.
Committee on the Rights of the Child 1991. General Guidelines Regarding the Form and Content of Initial Reports to be Submitted by States Parties Under Article 44, Paragraph 1(a), of the Convention. UN/CRC/5. United Nations: Geneva.

Committee on the Rights of the Child 1996. General Guidelines for Periodic Reports. UN/CRC/C/58. United Nations: Geneva.
Committee on the Rights of the Child 2001. General Comment No. 1 (2001): The Aims of Education. UN/CRC/GC/2001/1. United Nations: Geneva.
Committee on the Rights of the Child 2006. General Comment No. 7 (2005): Implementing Child Rights in Early Childhood. UN/CRC/GC/7. United Nations: Geneva.
Committee on the Rights of the Child 2008a. Concluding Observations of the Committee on the Rights of the Child: Serbia. CRC/C/SRB/1. United Nations: Geneva.
Committee on the Rights of the Child 2008b. Concluding Observations of the Committee on the Rights of the Child: United Kingdom of Great Britain and Northern Ireland. CRC/C/GBR/CO/4. United Nations: Geneva.
Connolly P, Healy J. 2004. Children and the Conflict in Northern Ireland: The Experiences and Perspectives of 3-11 Year Olds. Office of the First Minister and Deputy First Minister: Belfast.
Davey C, Dwyer C, McAlister S. 2009. Researching Children's Rights in the context of Northern Ireland. In Research Design, Methods and analysis: Researching with Children and Young People. Tisdall K, Davis J, Gallagher M (eds). Sage: London; 29-40.
David P. 2006. Article 31 the Right to Leisure, Play and Culture: A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child. M. Nijhoff Publishers: The Netherlands.
Department for Children, Schools & Families (2008) The Play Strategy. DCSF: London.
Detrick S. 1992. The United Nations Convention on the Rights of the Child A Guide to the ''Travaux Preparatories''. M. Nijhoff Publishers: Boston.
Draft Play Policy for Northern Ireland 2007. Children and Young People's Unit. Office of the First and Deputy First Minister: Belfast.
Elsley S. 2004. Children's experience of public space. Children and Society 18: 155-164.

Freeman M. 1992. Taking children's rights more seriously. International Journal of Law and the Family 52: 71. pp.173.
Freeman N. 2007. Why It Remains Important to Take Children's Rights Seriously. International Journal of Children's Rights 15: 5-23.
Gill T. 2007. No Fear: Growing up in a Risk Averse Society. Calouste-Gulbenkian Foundation: London.
Hakarrainen P. 1999. Play & motivation. In Perspectives in Activity Theory. Engestr}om Y, Miettinen R, Punama¨ki RL (eds). Cambridge University Press: Cambridge; 231-249.
Hodgkin R, Newell P. 2002. Implementation Handbook for the United Nations Convention on the Rights of the Child. UNICEF: New York.
Hughes B. 2001. Evolutionary Playwork & Reflective Analytical Practice. Routledge: London.
Kilkelly U, Lundy L. 2006. Children's Rights in action; using the UN Convention on the Rights of the Child as an auditing tool. Child and Family Law Quarterly 18: 331-350.
Kilkelly U, Kilpatrick R, Lundy L, Moore L, Scraton P, Davey C, McAlister A, Dwyer C. 2005. Children's Rights in Northern Ireland. Northern Ireland Commissioner for Children and Young People: Belfast.
Leonard M. 2006. Segregated schools in segregated societies: issues of safety and risk. Childhood 13:145–164.
Lester S, Russell W. 2008. Play for a Change. Play Policy & Practice: A Review of Contemporary Perspectives. Play England／National Children's Bureau: London.
Meire J. 2007. Qualitative Research on Children's Play: A Review of Recent Literature. Childhood & Society Research Centre: Belgium.
Northern Ireland Commissioner for Children and Young People (2009) Children's Rights: Rhetoric or Reality. Northern Ireland Commissioner for Children and Young People: Belfast.

Play England 2008. Play and the National Indicator Set. Available at: http://www.playengland.org.uk/Page.asp?originx_4699aq_66656610922544n83w_200888317l [Accessed 4 April 2009].
Powell S. 2009. The value of play: constructions of play in Government Policy in England. Children and Society 23: 29-42. Doi:10.1111/j.1099-0860.2008.00137.x
Rasmussen K. 2004. Places for Children - Children's Places. Childhood 11: 155-173.
Sutton-Smith B. 2003. Play as a parody of emotional vulnerability. In Play and Educational Theory and Practice, Play and Culture Studies. Roopnarine JL (ed). Praeger: Conneticut; 3-17.
United Nations 2003. Vienna Declaration and Programme for Action. A/CONF.157/23. United Nations:Geneva.
Van Gils J. 2007. The child's right to play, the right to be a child. In The UN Children's Right Conventions: Theory Meets Practice. Alen A, Bosly H, De Bie M, Vande Lannotte J, Ang F, Delenbs-Ravier I, Delpace M, Hermain C, Reynaert D, Staelens V, Steel R, Verheyde M (eds). Intersentia: Antwerpen-Oxford; 359-374.

*Correspondence to: Dr Ciara Davey, Senior Researcher, National Children's Bureau (NCB), 8 Wakley St, London
EC1V 7QE, UK. Tel.: 020 7843 6000. E-mail: cdavey@ncb.org.uk

გამოსაქვეყნებლად მიღებულია: 16 ივნისი 2009

© 2009 The Author(s) CHILDREN & SOCIETY Vol. 25, 3–14 (2011)
Children & Society © 2009 National Children's Bureau and Blackwell Publishing Limited.